



**IBSU**

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

**საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა  
არქიტექტურა**

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება ქართულ ენაზე	არქიტექტურა
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება ინგლისურ ენაზე	Architecture
სკოლა:	კომპიუტერული მეცნიერება და არქიტექტურა
საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ი:	გიორგი წანაწყენიშვილი
უმაღლესი განათლების საფეხური და კვალიფიკაციის დონე:	ბაკალავრიატი (უმაღლესი განათლების პირველი საფეხური) ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო - დონე 6
საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი:	აკადემიური, ძირითადი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013):	0731 არქიტექტურა და ქალაქდაგეგმარება/ Architecture and Town Planning
მისანიჭებელი კვალიფიკაცია:	არქიტექტურის ბაკალავრი / Bachelor of Architecture
კვალიფიკაციის კოდი:	0731.1.1
სწავლების ენა:	ქართული
პროგრამის მოცულობა კრედიტებით:	240 ECTS კრედიტი
პროგრამის სტრუქტურა:	უნივერსიტეტი იყენებს კრედიტების ტრანსფერის ევროპულ სისტემას (ECTS): 1 კრედიტი = 25 საათს, რომელიც ფარავს როგორც საკონტაქტო, ისე სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის საათებს.

	<p>პროგრამა მოიცავს 240 ECTS კრედიტს. მათ შორის:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• თავისუფალი სავალდებულო კომპონენტი - 20 ECTS</li> <li>• სპეციალობის სავალდებულო კომპონენტი - 170 ECTS</li> <li>• სპეციალობის არჩევითი კომპონენტი - 15 ECTS</li> <li>• თავისუფალი არჩევითი კომპონენტი -/ან დამატებითი საგანმანათლებლო პროგრამა 35 ECTS</li> </ul>
<p><b>პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:</b></p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების მქონე პირს, რომელსაც აქვს სახელმწიფოს მიერ დადასტურებული შესაბამისი დოკუმენტი და რომელიც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე მოიპოვებს სწავლის უფლებას აღნიშნულ პროგრამაზე. სწავლის უფლების მოპოვების შემდეგ პირმა შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში უნდა გაიროს ადმინისტრაციული რეგისტრაცია.</li> <li>• პირებს, რომლებსაც „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის №224/ნ ბრძანების საფუძველზე უფლება აქვთ ჩარიცხონ უნივერსიტეტში ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე. აღნიშნული პირები ვალდებული არიან დაადასტურონ ქართული ენის B2 დონეზე ფლობა.</li> <li>• „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანების შესაბამისად მობილობის წესით ჩარიცხულ სტუდენტები.</li> <li>• საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლების მოპოვების სავალდებულო პროცედურაა შემოქმედებითი ტური, რაც გულისხმობს აბიტურიენტის მიერ შესრულებული ნახატების წარდგენას, რომლებსაც აფასებენ დარგის ექსპერტები/სპეციალისტები. გასაუბრების ჩატარების პროცედურა და ეტაპები აღწერილია შესაბამის დებულებაში.</li> </ul>
<p>საბაკალავრო პროგრამის შემთხვევაში მიუთითეთ ერთიანი ეროვნულ გამოცდებზე ჩასაბარებელი ის საგნ(ებ)ი, რომელთაც განსაზღვრავს უსდ , მიუთითეთ დაწესებული მინიმალური კომპეტენციის ზღვარი (არსებობის შემთხვევაში)</p>	<p>საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტის ჩარიცხვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით - ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე. ერთ-ერთი ჩასაბარებელი სავალდებულო საგანია: მათემატიკა/ფიზიკა.</p>

**საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი:**

არქიტექტურის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია:

1. არქიტექტორის პროფესიისათვის ფართო თეორიულ-პრაქტიკული ცოდნისა და უნარ-ჩვევებით აღჭურვილი მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება, რისთვისაც სტუდენტი დაეუფლება საპროექტო არეალის მახასიათებლებს შესწავლის არსებულ სამშენებლო ნორმატივებს, რათა სტუდენტს ჩამოუყალიბოს პროფესიონალური არქიტექტურული პროექტის შექმნის უნარი.
2. სტუდენტს მისცეს ცოდნა არქიტექტურის ისტორიის თეორიულ ასპექტებზე; პროექტირების/კონცეფციების ხორცშესხმისთვის აუცილებელ პროცედურებზე, ქლაქმშენებლობის პროცესებში თანამედროვე ტექნოლოგიების და საინჟინრო საკითხების შესახებ.
3. მოამზადოს დარგის სპეციალისტი, როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო მოთხოვნების შესაბამისად და შემდეგ საფეხურზე სწავლის გასაგრძელებლად.
4. სტუდენტებმა შეძლონ არქიტექტურის სფეროში მიმდინარე პროცესების შესახებ კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის ნაშრომის მომზადება წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად და მოახდინონ მისი ეფექტური წარდგენა დაინტერესებული აუდიტორიისათვის.

## სწავლის შედეგები

არქიტექტურის საგანმანათლებლო პროგრამის წარმატებით დასრულების შემთხვევაში კურსდამთავრებულებს ჩამოუყალიბდებათ სპეციალობისთვის აუცილებელი შემდეგი ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები.

### ცოდნა და გაცნობიერება:

1. აღწერს არქიტექტურის ისტორიასა და თეორიას, რაც მოიცავს ხელოვნების, საერთაშორისო არქიტექტურულ სტილებს, შენობის არქიტექტურული პროექტირებისა და პროექტირების მენეჯმენტისათვის აუცილებელი ასპექტებს, გეგმარებითი და სამშენებლო სფეროს საკანონმდებლო საფუძვლებს.
2. ქალქთმშენებლობის პროცესში აცნობიერებს არქიტექტორის პროფესიის განსაკუთრებულ როლს და იმ ფასეულობებსა და კონტექსტებს, რომელიც დაკავშირებულია გარემოს შენარჩუნება-განვითარებაზე ურბანისტიკის სფეროში.
3. საფუძვლიანად მიმოიხილავს და კრიტიკულად იაზრებს არქიტექტურული პროექტებისთვის საჭირო სამართლებრივ პროდუქტებს, შესაბამისობაშია არქიტექტურის მსოფლიო გამოცდილების ზოგად პრინციპებთან
4. აცნობიერებს საექსპლუატაციო პროცესების თანმდევ საზოგადოებრივ მოთხოვნებს, სამშენებლო, საპროექტო ტერიტორიის კეთილმოწყობის ორგანიზების და იცავს აღნიშნულ სფეროსთან დაკავშირებულ პროფესიულ ეთიკასა და საკანონმდებლო რეგულაციებს.

### უნარი:

5. აანალიზებს შენობის არქიტექტურული მახასიათებლებს, მათ შორის, გეგმარებითი პრინციპების, ესთეტიკის, ფუნქციონალური სქემებისა და საპროექტო ტერიტორიის ქალაქთგეგმარებითი კონტექსტის მეშვეობით ქმნის არქიტექტურულ პროექტს;
6. ითვალისწინებს კონსტრუქციების, თანამდეროვე ტექნოლოგიებისა და მასალების ესთეტიკურ-საექსპლუატაციო თვისებებს, ასევე სატრანსპორტო, საკომუნიკაციო, ტექნიკურ და უსაფრთხოების სისტემებს;
7. გამოსახავს არქიტექტურულ იდეებს ციფრულ ფორმატში სხვადასხვა ტექნიკის გამოყენებით, რომლის პროცესშიც ასახავს კონსტრუქციებს, ტექნოლოგიებს, მასალების ტექნიკურ და უსაფრთხოების სისტემებს.
8. აგროვებს მონაცემებს დამკვეთისა და მომხარებლის ინტერესების გათვალისწინებით, რომლის ანალიზის საფუძველზე აყალიბებს პროფესიულ დასაბუთებულ დასკვნას.

### პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა:

9. აფასებს მის მიერ შექნილი არქიტექტურული პროექტის ტექნიკურ, ესთეტიკურ და საექსპლუატაციო თვისებებს;
10. სამშენებლო-კვლევითი სამუშაოების წარმართვის პროცესში იცავს პროფესიული ეთიკის პრინციპებს და საკანონმდებლო რეგულაციებთან თავსებად არქიტექტურულ პროექტს ქმნის;



შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი  
International Black Sea University

პროგრამის მიზანი	სწავლის შედეგი 1	სწავლის შედეგი 2	სწავლის შედეგი 3	სწავლის შედეგი 4	სწავლის შედეგი 5	სწავლის შედეგი 6	სწავლის შედეგი 7	სწავლის შედეგი 8	სწავლის შედეგი 9	სწავლის შედეგი 10
1	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓
2	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓		✓	✓
3	✓		✓		✓	✓		✓	✓	✓
4	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓

**სწავლის შედეგები:**

სასწავლო კურსი / მოდული /პრაქტიკა /კვლევითი კომპონენტი  
 ფასდება 3 ზრდადი რუბრიკით:  
 1 = გაცნობა  
 2 = გაღრმავება  
 3 = განმტკიცება

სასწავლო კურსი / მოდული /პრაქტიკა /კვლევითი კომპონენტი ფასდება 3 ზრდადი რუბრიკით: 1 = გაცნობა 2 = გაღრმავება 3 = განმტკიცება	სწავლის შედეგი 1	სწავლის შედეგი 2	სწავლის შედეგი 3	სწავლის შედეგი 4	სწავლის შედეგი 5	სწავლის შედეგი 6	სწავლის შედეგი 7	სწავლის შედეგი 8	სწავლის შედეგი 9	სწავლის შედეგი 10
აკადემიური წერა								1		
ინფორმაციული ტექნოლოგიები								1		
მათემატიკა				1						
გეომეტრიული მოდელირების საწყისები				1				1		
რეპრეზენტატიული ხატვა						1		1		
არქიტექტურული ხაზვა				1				1		
არქიტექტურული კომპოზიციის საფუძვლები								1		
არქიტექტურა და ხელოვნება საუკუნეების განმავლობაში (მე-19 საუკუნემდე)	1									

პროფესიული ინგლისური								2	2	
გეოდეზია					1					
არქიტექტურული პროექტირება I			2		2	2	2	2	2	1/2
პროექტირების ავტომატიზირებული სისტემები წარმოებაში I (ARCHICAD 1)					1			1		
მასალები და კონსტრუქციები				2			2			
არქიტექტურული პროექტირება II			2		2	2	2	2	2	2
მოდერნიზმი არქიტექტურასა და ხელოვნებაში	2									
პროექტირების ავტომატიზირებული სისტემები წარმოებაში II (ARCHICAD 2)								2		
არქიტექტურული ფიზიკა და შენობათა ტექნოლოგიები				2			2			
საერთაშორისო სამშენებლო კოდექსის საფუძვლები			2	2			2			
არქიტექტურული პროექტირება			2		2	2	2	2	2	2



III										
არქიტექტურა დღეს	3					3				
ურბანული დაგეგმარების საფუძვლები		2				2			2	
არქიტექტურული პროექტის სამგანზომილებიანი ციფრული ვიზუალიზაცია (3Ds Max)								2	2	
არქიტექტურული პროექტირება IV			3		3	3	3	3	3	
პრაქტიკა	3	3	3		3	3	3	3	3	3
ინტერიერის დიზაინის საფუძვლები					2	2			2	
მდგრადი არქიტექტურის საფუძვლები	2		2	2			2			
არქიტექტურული პროექტირება V			3		3	3	3	3	3	3
გარემოს დიზაინის საფუძვლები		2				2			2	
შრომის უსაფრთხოება					1		1			

საბაკალავრო პროექტი	3	3	3	3	3	3	3	3	3	3
---------------------	---	---	---	---	---	---	---	---	---	---

<p><b>სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები</b></p>	<p>პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტების განხორციელება ხდება სწავლა/სწავლების შემდეგი მეთოდების გამოყენებით:</p> <p><b>ლექცია</b> - ძირითადი თეორიული მასალის, ცნებების და სხვ. განხილვა სტუდენტთა აქტიური ჩართულობით. იგი ძირითადად ორიენტირებულია შესასწავლი მასალის მეცნიერული თეორიებისა და მიდგომების საფუძვლიან შესწავლაზე. აქტიურად ხდება საკითხების სიღრმისეული გაშუქება, რა დროსაც გონებრივი იერიშისა და სხვადასხვა ინტერაქტიული მეთოდების გამოყენებით ხდება სტუდენტთა აქტიური ჩართვა დისკუსიებში, თემების ნათლად წარმოსახვასა და გარკვევაში.</p> <p><b>სამუშაო ჯგუფში მუშაობა</b> - ჯგუფური მუშაობა ავითარებს თანამშრომლობის პირობებში კონკრეტული ამოცანების დაგეგმვისა და რეალიზების ცოდნასა და უნარ-ჩვევებს. სამუშაო ჯგუფში მუშაობის დროს ხდება ქვისების, ქვიზების, სავარჯიშოების, მაგალითების განხილვა, რითაც სტუდენტები იძენენ პრობლემის ჯგუფურად გადაწყვეტის უნარ-ჩვევებს, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს გუნდში მუშაობის უნარების ჩამოყალიბება-განვითარებას, სხვათა აზრის გათვალისწინება/გაზიარებასა და კორექტული კომუნიკაციის კომპეტენციების დაუფლებას.</p> <p><b>პრაქტიკული/ლაბორატორიული მუშაობა</b> - პრაქტიკულ/ლაბორატორიულ მეცადინეობებზე საკითხების სიღრმისეული წვდომის მიზნით ხდება ყურადღების კონცენტრირება საკითხების შესაბამისი მაგალითების, შემთხვევის ანალიზის (ქვისების) თუ ვიდეო მასალების განხილვაზე, სავარჯიშოების შეთავაზებაზე, მათი გადაწყვეტის, ამოხსნის გზების ძიებაზე, რაც უზრუნველყოფს სტუდენტთა მიერ შეძენილი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარ-ჩვევებისგან მტკიცებას და შემოქმედებითი და ანალიტიკური აზროვნების განვითარებას.</p> <p><b>სემინარი</b> - სემინარის დანიშნულებაა სტუდენტებს მიეცეთ ლექციაზე მოსმენილი საკითხებისა და თემების დეტალიზაციის, უკეთ გარკვევისა და გაანალიზების რეალური შესაძლებლობა. სემინარი ცოდნის გადაცემის საშუალებაა, რომლის დროსაც იმართება დისკუსია, კეთდება დასკვნები და ამ პროცესის მიზანმიმართულად წარმართვას კოორდინაციას უწევს ლექტორი. სემინარული მუშაობა ტარდება საჭიროებისამებრ, სალექციო მასალის გადაცემის</p>
---	---

კვალდაკვალ.

**დამოუკიდებელი მუშაობა** - სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობით შესაძლებელია ლექციაზე შეძენილი ცოდნის გამყარება და გაღრმავება. დამოუკიდებელი მუშაობა გულისხმობს სახელმძღვანეოებისა თუ სხვა საინფორმაციო წყაროების გამოყენებით მასალის მოძიებას, წაკითხვას, გააზრებასა და შესწავლას, ასევე ლექციის მსვლელობისას მიღებული საშინაო დავალებების შესრულებას. ყოველივე აღნიშნული ხელს უწყობს საკითხებისადმი ინტერესის გაღვივებას, საკითხების დამოუკიდებლად შესწავლის სურვილს, რაც დამოუკიდებელი აზროვნების, ანალიზისა და დასკვნების გაკეთების სტიმულირების საშუალებაა.

აღნიშნული სწავლა/სწავლების მეთოდების განხორციელება ხდება შემდეგი აქტივობების გამოყენებით:

**პრეზენტაცია (ლექტორის მიერ)** – იგულისხმება თხრობა და საუბარი, რომლის დროსაც ინფორმაცია გადაეცემა პედაგოგიდან სტუდენტს. აღნიშნულ პროცესში ლექტორი სიტყვების საშუალებით გადასცემს, ხსნის სასწავლო მასალას, ხოლო სტუდენტები მოსმენით, დამახსოვრებითა და გააზრებით მას აქტიურად აღიქვამენ და ითვისებენ. მნიშვნელოვანია ლექტორის მიერ ინფორმაციის სწორი აღქმისა და გაგების უზრუნველყოფა და გადამოწმება. საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია დამატებითი ინსტრუქციების მიცემა. ლექტორი იძლევა კონკრეტულ მაგალითებსა და დეტალურ განმარტებებს.

**დემონსტრირება** – დემონსტრირების დროს ინფორმაციის ვიზუალური წარმოდგენა. შედეგის მიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტიანია, რადგან ითვალისწინებს სტუდენტის სხვადასხვა ტიპის ინტერესებს. ხშირ შემთხვევაში უმჯობესია მასალის ერთდროულად აუდიო და ვიზუალური გზით მიწოდება. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია როგორც მასწავლებლის, ასევე სტუდენტის მიერ. ეს მეთოდი გვებმარება თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად; ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს.

**ინდუქცია** - ინდუქციის მთავარი მიზანია კონკრეტული ფაქტებისა და შემთხვევების განზოგადებაზე დაყრდნობით სტუდენტმა აღმოაჩინოს და ჩამოაყალიბოს ზოგადი პრინციპები თუ საფუძვლები, რომელთა ჭრილობი შესაძლებელია პროცესების განხილვა და მოვლენების ახსნა. სწავლის პროცესში აზრის მსვლელობა ფაქტებიდან განზოგადებისკენ არის მიმართული, ანუ მასალის გადმოცემისას პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისკენ.

**დედუქცია** - სწავლა-სწავლების ტრადიციული მიდგომა, სადაც ლექტორი არის ინფორმაციის მთავარი წყარო და მისი ხელმძღვანელობით სტუდენტები ეცნობიან ზოგად თეორიებს; შედეგად კი, მათი მეშვეობით ცდილობენ ლოგიკისა და

ანალიზის დახმარებით მოიძიონ კონკრეტული მაგალითები, მიიღონ ცოდნა და გამოიმუშაონ სათანადო უნარ-ჩვევები. დედუქცია განსაზღვრავს ნებისმიერი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, რომელიც ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის აღმოჩენის ლოგიკურ პროცესს წარმოადგენს, ანუ მასალის გადმოცემის თვალსაზრისით, პროცესი მიმდინარეობს ზოგადიდან კონკრეტულსკენ.

**ანალიზი** - თანამედროვე სამყაროში მრავალი სამეცნიერო დისციპლინა კომპლექსური გახდა; შესაბამისად, მათი შემსწავლელი კურსებიც მოითხოვს კომპლექსურ მიდგომას. ანალიზის მეთოდი კი გვეხმარება როგორც მულტიდისციპლინარული, ასევე ინტერდისციპლინარული კურსების მასალის შემადგენელ ნაწილებად დაშლაში. მოცემული მიდგომა შესაძლებელს ხდის შესასწავლი საკითხის ცალკეულ ასპექტებად დანაწევრებას; ამით მარტივდება რთული პრობლემის შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალური გაშუქება.

**სინთეზი** - მისი მიზანია ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანი მიდგომის შედგენა. ეს მეთოდი ხელს უწყობს პრობლემის, როგორც მთლიანის დანახვის უნარის განვითარებას.

**შემთხვევების შესწავლა (case study)** - აქტიური პრობლემურ-სიტუაციური ანალიზი, რომელიც გულისხმობს კონკრეტული სფეროდან აღებული რეალური, პრაქტიკული მაგალითების (ქეისების) განხილვით სტუდენტს მისცეს შესაძლებლობა მრავალმხრივ შეისწავლოს საკითხის არსი, გააანალიზოს პრობლემის გადაჭრის შესაძლო მიდგომები და საშუალებები და მოიძიოს, აირჩიოს და დაასაბუთოს მოქმედების კონკრეტული სტრატეგიები, მიზნები და მოსალოდნელი შედეგები. „შემთხვევა“ (ქეისი) წარმოადგენს კონტექსტს და იგი თავად არის ინსტრუმენტი, რომელიც საშუალებას იძლევა კონკრეტული სასწავლო კურსის მსვლელობისას მიღებული ცოდნა სტუდენტმა გამოიყენოს პრაქტიკაში, ანუ რეალურ შემთხვევასთან მიახლოებულ გარემოში.

**გონებრივი იერიში (brain storming)** - იგულისხმება კონკრეტულ საკითხზე მრავალრიცხოვანი, განსხვავებული მოსაზრებების ჩამოყალიბება. იგი ხელს უწყობს შემოქმედებითი მიდგომის განვითარებას, როდესაც სტუდენტები ცდილობენ საკითხის მრავალმხრივ დანახვას და დეტალურად განხილვას. მოცემული მიდგომა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში ჯგუფის ყოველი წევრის მაქსიმალურ ჩართულობას. იგი განსაკუთრებით ეფექტურია მრავალრიცხოვანი ჯგუფის კონტექსტში.

**დისკუსია / დებატები** - ინტერაქტიული სწავლების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული საშუალება. დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტიურობას. დისკუსიის მსვლელობისას ხდება სხვადასხვა მოსაზრების დაპირისპირება და პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ პედაგოგის მიერ შეკითხვების დასმით. საბოლოო მიზანი ასევე არის განსხვავებული აზრების შეჯერება. ეს მეთოდი უვითარებს სტუდენტს მსჯელობისა და საკუთარი

აზრის დასაბუთების უნარს.

**პროექტი** - არის სასწავლო-შემეცნებითი ხერხების ერთობლიობა, რომელიც პრობლემის გადაწყვეტის საშუალებას იძლევა სტუდენტის დამოუკიდებელი მოქმედებებისა და მიღებული შედეგების აუცილებელი პრეზენტაციის პირობებში. ამ მეთოდით სწავლება ამაღლებს სტუდენტთა მოტივაციასა და პასუხისმგებლობას. პროექტზე მუშაობა მოიცავს დაგეგმვის, კვლევის, პრაქტიკული აქტივობისა და შედეგების წარმოდგენის ეტაპებს არჩეული საკითხის შესაბამისად. პროექტი განხორციელებულად ჩაითვლება, თუ მისი შედეგები თვალსაჩინოდ, დამაჯერებლად და კონკრეტული ფორმით არის წარმოდგენილი. იგი შეიძლება შესრულდეს ინდივიდუალურად, წყვილებში ან ჯგუფურად. დასრულების შემდეგ პროექტი წარედგინება ფართო აუდიტორიას.

**პრეზენტაცია (სტუდენტის / სტუდენტების მიერ)** - თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარების გათვალისწინებით პრეზენტაცია წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე ინტერაქტიულ და, თვალსაჩინოების კუთხით, ყველაზე ეფექტურ მიდგომას. იგი არის სასწავლო-შემეცნებითი ხერხების ერთობლიობა, რომელიც პრობლემის გადაწყვეტის საშუალებას იძლევა სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის და მიღებული შედეგების პრეზენტაციის პირობებში. იგი ამაღლებს სტუდენტთა დამოუკიდებელი მუშაობის მოტივაციას, ასევე, ავითარებს კონკრეტულ უნარ-ჩვევებს - დაგეგმვა, კვლევის ჩატარება და მონაცემებისა თუ არგუმენტების თვალსაჩინოდ, დამაჯერებლად წარმოდგენა. იგი ასევე ავითარებს ინდივიდუალურად თუ ჯგუფურად მუშაობის უნარს.

**ელექტრონული საშუალებებით სწავლება** - გულისხმობს სწავლებას ინტერნეტითა და მულტიმედიური საშუალებებით. იგი მოიცავს სწავლების პროცესის ყველა კომპონენტს, რომელთა რეალიზება ხდება ინტერნეტისა და მულტიმედიური სპეციფიკური საშუალებებით.

**ჯგუფური მუშაობა** - გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფურად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალებების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ თავის მოსაზრებებს ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.

**წიგნზე მუშაობა** - სწავლის პროცესში აქტიურად გამოიყენება სწავლა/სწავლების საშუალება, რომლის დროსაც სტუდენტი ამუშავებს მასალას მიცემული ლიტერატურისა და სხვა წყაროების გამოყენებით.

**სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა**

შეფასების მიზანია ხარისხობრივად განსაზღვროს სტუდენტის სწავლის შედეგები აკადემიური პროგრამის მიზნებთან და პარამეტრებთან მიმართებაში.

სტუდენტის ცოდნის შეფასება ხორციელდება ზეპირი და/ან წერილობითი ფორმით. სასწავლო კურსის/კომპონენტის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია. შეფასება ითვალისწინებს შუალედურ და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი შეადგენს 100 ქულას.

შეფასების სისტემა უშვებს:

**ხუთი სახის დადებით შეფასებას**

- ა) (A) ფრიადი – 91 - 100 ქულა;
- ბ) (B) ძალიან კარგი – 81 - 90 ქულა;
- გ) (C) კარგი – 71 - 80 ქულა;
- დ) (D) დამაკმაყოფილებელი – 61 - 70 ქულა;
- ე) (E) საკმარისი – 51 - 60 ქულა.

**ორი სახის უარყოფით შეფასებას**

- ა) (FX) ვერ ჩააბარა – 41 - 50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- ბ) (F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

შუალედური და დასკვნითი შეფასებებისთვის განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი (51%). დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ხვედრითი წილი არ აღემატება დასკვნითი შეფასების 60%-ს.

შუალედური და დასკვნითი შეფასებების ქულობრივი განაწილება, მათი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი და შეფასების რუბრიკები გაწერილია შესაბამისი კომპონენტის სილაბუსში.

კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დადგენილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, ქვემოთ მოყვანილი აუცილებელი მოთხოვნების გათვალისწინებით:

- ა) შუალედური და დასკვნითი შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის გადალახვის შემთხვევაში;

	<p>ბ) საბოლოო შეფასების მაქსიმალური 100 ქულიდან მინიმუმ 51 ქულის მოგროვების შემთხვევაში.</p> <p>შუალედური და დასკვნითი შეფასებების კომპონენტების ფორმატი და შეფასების კრიტერიუმები განისაზღვრება თითოეული სასწავლო კურსის/საბაკალავრო პროექტი/პრაქტიკის სილაბუსის მიხედვით, მათი სპეციფიკის გათვალისწინებით და ზემოთ მოყვანილი კრიტერიუმების დაცვით.</p>
<p><b>სწავლების ორგანიზების თავისებურებები</b></p>	<p>საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული 240 კრედიტი განაწილებულია ოთხი აკადემიური წლის, რვა სემესტრის განმავლობაში. თითოეულ სემესტრში სტუდენტის მიერ ასაღები კრედიტების მოცულობაა 30 კრედიტი.</p> <p>კრედიტების დაანგარიშების საფუძვლად აღებულია კრედიტების ტრანსფერის ევროპული სისტემა (ECTS): 1 კრედიტი = 25 საათი, რომელიც ფარავს როგორც საკონტაქტო, ისე სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის საათებს.</p> <p>მეექვსე სემესტრში გათვალისწინებულია პრაქტიკის გავლა, რომელიც მოიცავს 5 კრედიტს. პრაქტიკის გავლის დროს სტუდენტი ერთვება პროექტირების პროცესში და ეცნობა არქიტექტურული დოკუმენტაციის შემუშავებაში მონაწილე მომიჯნავე დარგების სპეციალისტებთან ურთიერთობას.</p> <p>სწავლების ბოლო სემესტრში სტუდენტი მუშაობს საბაკალავრო პროექტზე და საჯაროდ დაცვის შემდეგ ენიჭება 10 კრედიტი.</p> <p>პროგრამის ფარგლებში, პროგრამით გათვალისწინებული 240 კრედიტიდან სტუდენტს აქვს შესაძლებლობა 25 კრედიტის ფარგლებში აირჩიოს თავისუფალი კრედიტების სახით, რომლის ფარგლებშიც იგი უფლებამოსილია აირჩიოს მისთვის სასურველი სასწავლო კურს(ებ)ი უნივერსიტეტში მოქმედი ნებისმიერი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამიდან წინაპირობების დაცვით. სტუდენტს აგრეთვე აქვს უფლება არნიშნული კრედიტების მისაღებად ამოირჩიოს კურსები სპეციალობის არჩევითი კომპონენტებიდან.</p> <p>პროგრამაში უცხო ენებისთვის განკუთვნილია 10 კრედიტი. ინგლისური ენის არჩევა სავალდებულოა იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტს არ აქვს საერთაშორისოდ აღიარებული ინგლისური ენის სერთიფიკატი ან ზოგად/უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში არ აქვს მიღებული სრულად ან ნაწილობრივი განათლება ინგლისურ ენაზე.</p> <p>სტუდენტი თავისუფლდება ინგლისური ენის არჩევისგან იმ შემთხვევაშიც, თუ წარმოადგენს B2 დონის დამადასტურებელ საერთაშორისო სერთიფიკატს ან ზოგად/უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სრულად სწავლის დამადასტურებელ დოკუმენტაციას. ამ შემთხვევაში, სტუდენტს ვალდებულია. აირჩიოს 10 კრედიტი თავისუფალი კომპონენტიდან. სტუდენტი, რომელიც ჩაირიცხება პროგრამაზე სხვა ენით, გარდა ინგლისურისა, ინგლისურის სწავლებას</p>

	<p>იწყებს წინა დონიდან. სტუდენტებისთვის ასევე შეთავაზებულია პროფესიული ინგლისური, რომელიც 5 კრედიტიანია.</p> <p>პროგრამაში შეთავაზებულია 60 კრედიტი, რომელიც სტუდენტებს შეუძლია აირჩიოს როგორც თავისუფალი კრედიტების სახით, ასევე უნივერსიტეტში შეთავაზებული სხვა დამატებითი პროგრამის ფარგლებში.</p>
<p><b>დასაქმების სფერო</b></p>	<p>არქიტექტურის საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულებს შესაძლებლობა აქვთ დასაქმდნენ როგორც კერძო ისე საჯარო ორგანიზაციაში არქიტექტურულ სექტორში (არქიტექტურულ-დიზაინერულ სტუდიებში, სამშენებლო კომპანიებში, უძრავი ქონების სააგენტოებში, მუნიციპალიტეტებში), სხვადასხვა ბიზნეს გაერთიანებებსა თუ საჯარო დაწესებულებებში. დასაქმების სფერო შეიძლება იყოს: არქიტექტურული პროექტირება, ქალაქთგეგმარება, კონსულტაცია, პროექტის მართვა და სხვა მონათესავე მიმართულებები.</p>
<p><b>ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსის შესახებ</b></p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რომელიც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის გამართულ ფუნქციონირებას;</li> <li>• პროექტორებითა და სხვა ტექნიკური რესურსებით აღჭურვილი აუდიტორიები;</li> <li>• საკონფერენციო დარბაზები სხვადასხვა სახის ღონისძიებებისთვის და კლასგარეშე აქტივობებისთვის, კერძოდ: საჯარო ლექციები, კონფერენციები, სიმულაციები და სემინარები;</li> <li>• უწყვეტი ინტერნეტით აღჭურვილი კომპიუტერული ცენტრი;</li> <li>• კამპუსის ტერიტორიაზე სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისთვის უფასო უკაბელო და საკაბელო ინტერნეტი;</li> <li>• საინფორმაციო სისტემა SIS, თითოეული სტუდენტის ინდივიდუალური პროფილით, სადაც ხელმისაწვდომია სტუდენტის ნიშნების ფურცელი და ინფორმაცია მისი აკადემიური მოსწრების შესახებ. მონაცემთა ბაზა საშუალებას აძლევს სტუდენტებს დარეგისტრირდნენ, აირჩიონ სასწავლო კურსები, შეუკვეთონ სხვადასხვა სახის სერტიფიკატები, შეაფასონ სასწავლო პროცესი და სხვა;</li> <li>• სტუდენტური პორტალი – Smart, რომელიც წარმოადგენს ლექტორებსა და სტუდენტებს შორის ფორმალური კომუნიკაციის საშუალებას. სასწავლო კურსის მასალები, სასწავლო კურსის შესახებ ინფორმაცია და სიახლეები ხელმისაწვდომია აღნიშნულ პორტალზე;</li> <li>• უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა აღჭურვილია თანამედროვე ტექნოლოგიებით, ინტერნეტით და ბეჭდური და</li> </ul>



ელექტრონული წიგნების მდიდარი ფონდით, სასწავლო კომპონენტების სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურის ჩათვლით;

შემდეგ ელექტრონულ მონაცემთა ბაზებზე წვდომა:

- Cambridge Journals Online (<https://www.cambridge.org/core> )
- e-Duke Journals Scholarly Collection (<https://read.dukeupress.edu/> )
- Edward Elgar Publishing Journals and Development Studies e-books (<https://www.elgaronline.com/> )
- Edward Elgar Publishing Journals (<https://www.elgaronline.com/> )
- European Respiratory Journal (<https://erj.ersjournals.com/> )
- IMechE Journals (<https://uk.sagepub.com/en-gb/eur/IMEchE> )
- Open Book Publishers E-books (<https://www.openbookpublishers.com/> )
- Royal Society Journals Collection (<https://royalsociety.org/journals/> )
- SAGE Journals (<https://journals.sagepub.com> )

• სტუდენტებისთვის გამოყოფილი სასწავლო სივრცე;

• უნივერსიტეტში ყველა პირობაა შექმნილი სტუდენტების კლასგარეშე საქმიანობისთვის (სპორტი, შემოქმედებითი, სოციალური აქტივობა);

• უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული სხვა მატერიალური რესურსები.

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსის შესახებ

N	სახელი, გვარი	სტატუსი	სასწავლო კურსი
1	ირმა მესირიძე	აფილირებული ასოცირებული პროფესორი	აკადემიური წერა
2	გიორგი მერაბიშვილი	მოწვეული ლექტორი	ინფორმაციული ტექნოლოგიები
3	დიანა მჭედლიშვილი	აფილირებული ასოცირებული პროფესორი	მათემატიკა

	4	ნინო ნიკვაშვილი	მოწვეული ლექტორი	გეომეტრიული მოდელირების საწყისები
	5	ანა მგალობლიშვილი	ასოცირებული პროფესორი	რეპრეზენტატიული ხატვა; არქიტექტურა და ხელოვნება საუკუნეების განმავლობაში (მე-19 საუკუნემდე); მოდერნიზმი არქიტექტურასა და ხელოვნებაში; არქიტექტურა დღეს
	6	გიორგი გაბუნია	აფილირებული, ასოცირებული პროფესორი	არქიტექტურული ხაზვა; არქიტექტურული პროექტირება I; არქიტექტურული პროექტირება II; არქიტექტურული პროექტირება III; არქიტექტურული პროექტირება IV; ინტერიერის დიზაინის საფუძვლები; არქიტექტურული პროექტირება V; საბაკალავრო პროექტი
	7	გიორგი წანაწყენიშვილი	აფილირებული ასოცირებული პროფესორი	არქიტექტურული კომპოზიციის საფუძვლები; არქიტექტურული პროექტირება I; არქიტექტურული პროექტირება II; საერთაშორისო სამშენებლო კოდექსი საფუძვლები; არქიტექტურული პროექტირება III; არქიტექტურული პროექტირება IV; პრაქტიკა; არქიტექტურული პროექტირება V; საბაკალავრო პროექტი

	8	თეიმურაზ გაბუნია	მოწვეული ლექტორი	არქიტექტურული კომპოზიციის საფუძვლები; არქიტექტურული პროექტირება I; ინტერიერის დიზაინის საფუძვლები;
	9	დავით ბოსტანაშვილი	მოწვეული ლექტორი	არქიტექტურა და ხელოვნება საუკუნეების განმავლობაში (მე-19 საუკუნემდე); მოდერნიზმი არქიტექტურასა და ხელოვნებაში; არქიტექტურა დღეს;
	10	ნინო მიქაძე	მოწვეული ლექტორი	პროფესიული ინგლისური;
	11	ნოდარ მათიაშვილი	მოწვეული ლექტორი	გეოდეზია;
	12	გიორგი მუხიაშვილი	პროფესორი	არქიტექტურული პროექტირება I; მასალები და კონსტრუქციები; არქიტექტურული პროექტირება II; არქიტექტურული ფიზიკა და შენობათა ტექნოლოგიები; არქიტექტურული პროექტირება III; არქიტექტურული პროექტირება IV; პრაქტიკა; არქიტექტურული პროექტირება V; საბაკალავრო პროექტი; უახლესი კონსტრუქციები;
	13	ვიტალი ჯანუკაშვილი	მოწვეული ლექტორი	მასალები და კონსტრუქციები; არქიტექტურული ფიზიკა და შენობათა ტექნოლოგიები; უახლესი

				კონსტრუქციები;
	14	ლევან ჭანტურია	მოწვეული ლექტორი	მასალები და კონსტრუქციები; არქიტექტურული ფიზიკა და შენობათა ტექნოლოგიები; უახლესი კონსტრუქციები;
	15	გიორგი ცუცქირიძე	მოწვეული ლექტორი	არქიტექტურული პროექტირება I; პროექტირების ავტომატიზირებული სისტემები წარმოებაში I (ARCHICAD 1); არქიტექტურული პროექტირება II; პროექტირების ავტომატიზირებული სისტემები წარმოებაში II (ARCHICAD 2); არქიტექტურული ფიზიკა და შენობათა ტექნოლოგიები; არქიტექტურული პროექტირება III; არქიტექტურული პროექტირება IV; არქიტექტურული პროექტირება V; საბაკალავრო პროექტი; შენობა- ნაგებობები; უახლესი კონსტრუქციები;
	16	ნინო ჭრელაშვილი	მოწვეული ლექტორი	არქიტექტურული პროექტირება I; არქიტექტურული პროექტირება II; არქიტექტურული პროექტირება III; არქიტექტურული პროექტირება IV; არქიტექტურული პროექტირება V; საბაკალავრო პროექტი;
17	დავით ნიკოლაიშვილი	აფილირებული, ასოცირებული პროფესორი	ურბანული დაგეგმარების საფუძვლები; მდგრადი არქიტექტურის საფუძვლები; მომავლის ქუჩა ურბანულ კონტექსტში;	

				სოციალური მდგრადობა;
	18	ლაშა გოგიჩაიშვილი	მოწვეული ლექტორი	არქიტექტურული პროექტის სამგანზომილებიანი ციფრული ვიზუალიზაცია (3Ds Max);
	19	ნინო ხაბეიშვილი	მოწვეული ლექტორი	გარემოს დიზაინის საფუძვლები;
	20	შოთა წიჟარაძე	მოწვეული ლექტორი	შრომის უსაფრთხოება;
	21	თათია ღვინერია	მოწვეული ლექტორი	კულტურული მემკვიდრეობა;
	22	გივი ამაღლობელი	აფილირებული, ასოცირებული პროფესორი	სოციოლოგია;
	23	თეონა მაისურაძე	ასოცირებული პროფესორი	არქიტექტურული პროექტების მენეჯმენტის საფუძვლები
	24	ნათავან ალიევა	მოწვეული ლექტორი	პროფესიული ინგლისური;

#	სასწავლო კურსი / მოდული/ პრაქტიკა / კვლევითი კომპონენტი	სტატუსი	კრედიტების რაოდენობა	საათების განაწილება															
				I ს.წ.		II ს.წ.		III ს.წ.		IV ს.წ.		საკონტაქტო						დამოუკიდებელი მუშაობა	ჯამური საათები
				I სემესტრი	II სემესტრი	III სემესტრი	IV სემესტრი	V სემესტრი	VI სემესტრი	VII სემესტრი	VIII სემესტრი	ლექცია	სემინარი/ჯგუფური მუშაობა/ პრაქტიკული საბუშაო	შუალედური გამოცხადება	დასკვნითი გამოცდა	სულ საკონტაქტო			
<b>თავისუფალი სავალდებულო კომპონენტი</b>			<b>20 ECTS</b>																
1	აკადემიური წერა	სავალდებულო	5	5									14	14	2	2	32	93	125
2	ინფორმაციული ტექნოლოგიები	სავალდებულო	5	5									14	14	2	2	32	93	125
3	ზოგადი ინგლისური B2.1	სავალდებულო	5	5															
4	ზოგადი ინგლისური B2.2	სავალდებულო		5															

II	სპეციალობის სავალდებულო კომპონენტი		170	15	20	20	25	25	25	20	20							
1.	ARC 1000 მათემატიკა	სავალდებულო	5	5								14	14	2	2	32	93	125
2..	ARC 1001 გეომეტრიული მოდელირების საწყისები	სავალდებულო	5	5								14	14	2	2	32	93	125
3.	ARC 1002 რეპრეზენტატიული ხატვა	სავალდებულო	5	5								14	14	2	2	32	93	125
4.	ARC 1501 არქიტექტურული ხაზვა	სავალდებულო	5		5							14	14	2	2	32	93	125
5.	ARC 1502 არქიტექტურული კომპოზიციის საფუძვლები	სავალდებულო	5		5							14	14	2	2	32	93	125

6.	ARC 1503 არქიტექტურა და ხელოვნება საუკუნეების განმავლობაში (მე-19 საუკუნემდე)	სავალდებულო	5		5							14	14	2	2	32	93	125
7.	ARC 1504 გეოდეზია	სავალდებულო	5		5							14	14	2	2	32	93	125
8.	ARC 2000 არქიტექტურული პროექტირება I	სავალდებულო	10			10						30	58	2	2	92	158	250
9.	ARC 2001 პროექტირების ავტომატიზირებული სისტემები წარმოებაში I (ARCHICAD 1)	სავალდებულო	5			5						14	14	2	2	32	93	125
10.	ARC 2002 მასალები და კონსტრუქციები	სავალდებულო	5			5						14	14	2	2	32	93	125
11.	ARC 2500 არქიტექტურული პროექტირება II	სავალდებულო	10				10					30	58	2	2	92	158	250
12.	ARC 2501 მოდერნიზმი არქიტექტურასა და ხელოვნებაში	სავალდებულო	5				5					14	14	2	2	32	93	125



13.	ARC 2502 პროექტირების ავტომატიზირებული სისტემები წარმოებაში II (ARCHICAD 2)	სავალდებულო	5					5				14	14	2	2	32	93	125
14.	ARC 2503 არქიტექტურული ფიზიკა და შენობათა ტექნოლოგიები	სავალდებულო	5					5				14	14	2	2	32	93	125
15.	ARC 3000 პროფესიული ინგლისური	სავალდებულო	5					5				14	14	2	2	32	93	125
16.	ARC 3001 საერთაშორისო სამშენებლო კოდექსის საფუძვლები	სავალდებულო	5					5				14	14	2	2	32	93	125
17.	ARC 3002 არქიტექტურული პროექტირება III	სავალდებულო	10					10				30	58	2	2	92	158	250
18.	ARC 3003 არქიტექტურა დღეს	სავალდებულო	5					5				14	14	2	2	32	93	125

19.	ARC 3500 ურბანული დაგეგმარების საფუძვლები	სავალდებულო	5								5			14	14	2	2	32	93	125
20.	ARC 3501 არქიტექტურული პროექტის სამგანზომილებიანი ციფრული ვიზუალიზაცია (3Ds Max)	სავალდებულო	5								5			14	14	2	2	32	93	125
21.	ARC 3502 არქიტექტურული პროექტირება IV	სავალდებულო	10								10			30	58	2	2	92	158	250
22.	ARC 3503 პრაქტიკა	სავალდებულო	5								5			14	14	2	2	32	93	125
23.	ARC 4000 ინტერიერის დიზაინის საფუძვლები	სავალდებულო	5									5		14	14	2	2	32	93	125

24.	ARC 4001 არქიტექტურული პროექტირება V	სავალდებულო	10							10		30	58	2	2	92	158	250
25.	ARC 4002 გარემოს დიზაინის საფუძვლები	სავალდებულო	5							5		14	14	2	2	32	93	125
26.	ARC 4500 მდგრადი არქიტექტურის საფუძვლები	სავალდებულო	5								5	14	14	2	2	32	93	125
27.	ARC 4501 შრომის უსაფრთხოება	სავალდებულო	5								5	14	14	2	2	32	93	125
28.	ARC 4502 საბაკალავრო პროექტი	სავალდებულო	10								10	14	14	2	2	32	93	125
III	სპეციალობის არჩევითი კომპონენტი		15						5	5	5							
1.	ARC 4003 კულტურული მემკვიდრეობა	არჩევითი	5						5			14	14	2	2	32	93	125

2.	ARC 4004 შენობა-ნაგებობები	არჩევითი	5							5		14	14	2	2	32	93	125
3.	ARC 4004 უახლესი კონსტრუქციები	არჩევითი	5							5		14	14	2	2	32	93	125
4.	სოციოლოგია	არჩევითი	5						5			14	14	2	2	32	93	125
5.	არქიტექტურული პროექტების მენეჯმენტის საფუძვლები	არჩევითი	5								5	14	14	2	2	32	93	125
6.	ARC 4503 მომავლის ქუჩა ურბანულ კონტექსტში	არჩევითი	5								5	14	14	2	2	32	93	125
7.	ARC 354 სოციალური მდგრადობა	არჩევითი	5					5				14	14	2	2	32	93	125
IV	თავისუფალი არჩევითი კომპონენტი/ან დამატებითი საგანმანათლებლო პროგრამა		<b>35 ECTS</b>															
	უნივერსიტეტის შესაბამისი საფეხურის ნებისმიერი სასწავლო კურსი წინაპირობების დაცვით.				5	10	5	5		5	5							

სულ		240	30	30	30	30	30	30	30	30							
-----	--	-----	----	----	----	----	----	----	----	----	--	--	--	--	--	--	--

წინაპირობების ცხრილი

#	კურსის დასახელება	კრედიტი	წინაპირობა*	სემესტრი (რომელშიც ხორციელდება კურსი)
1.	აკადემიური წერა	5	-	I
2.	ინფორმაციული ტექნოლოგიები	5	-	I
3.	მათემატიკა	5	-	I
4.	გეომეტრიული მოდელირების საწყისები	5	-	I
5.	რეპრეზენტატიული ხატვა	5	-	I
6.	არქიტექტურული ხაზვა	5	მხაზველობითი გეომეტრია	II
7.	არქიტექტურული კომპოზიციის საფუძვლები	5	-	II
8.	არქიტექტურა და ხელოვნება საუკუნეების განმავლობაში (მე-19 საუკუნემდე)	5	-	II
9.	გეოდეზია	5	-	II
10.	არქიტექტურული პროექტირება I	10	<ul style="list-style-type: none"> <li>• მხაზველობითი გეომეტრია</li> <li>• არქიტექტურული ხაზვა</li> </ul>	III

			<ul style="list-style-type: none"> <li>• არქიტექტურული კომპოზიციის საფუძვლები</li> </ul>	
11.	პროექტირების ავტომატიზირებული სისტემები წარმოებაში I (ARCHICAD 1)	5	-	III
12.	მასალები და კონსტრუქციები	5	-	III
13.	არქიტექტურული პროექტირება II	10	არქიტექტურული პროექტირება I	IV
14.	მოდერნიზმი არქიტექტურასა და ხელოვნებაში	5	არქიტექტურა და ხელოვნება საუკუნეების განმავლობაში (მე-19 საუკუნემდე)	IV
15.	პროექტირების ავტომატიზირებული სისტემები წარმოებაში II (ARCHICAD 2)	5	პროექტირების ავტომატიზირებული სისტემები წარმოებაში I (ARCHICAD 1)	IV
16.	არქიტექტურული ფიზიკა და შენობათა ტექნოლოგიები	5	-	IV
17.	პროფესიული ინგლისური	5	ინგლისური ენა B2	V
18.	საერთაშორისო სამშენებლო კოდექსის საფუძვლები	5	-	V
19.	არქიტექტურული პროექტირება III	10	არქიტექტურული პროექტირება II	V
20.	არქიტექტურა დღეს	5	-	V
21.	ურბანული დაგეგმარების საფუძვლები	5	<ul style="list-style-type: none"> <li>• არქიტექტურული ხაზვა</li> <li>• არქიტექტურული კომპოზიციის საფუძვლები</li> </ul>	VI
22.	არქიტექტურული პროექტის სამგანზომილებიანი ციფრული ვიზუალიზაცია (3Ds Max)	5	-	VI
23.	არქიტექტურული პროექტირება IV	10	არქიტექტურული პროექტირება III	VI
24.	პრაქტიკა	5	წინა სემესტრების სავალდებულო კრედიტები	VI
25.	ინტერიერის დიზაინის საფუძვლები	5	<ul style="list-style-type: none"> <li>• არქიტექტურული ხაზვა</li> <li>• არქიტექტურული კომპოზიციის საფუძვლები</li> </ul>	VII

26.	არქიტექტურული პროექტირება V	10	არქიტექტურული პროექტირება IV	VII
27.	გარემოს დიზაინის საფუძვლები	5	<ul style="list-style-type: none"> <li>• არქიტექტურული ხაზვა</li> <li>• არქიტექტურული კომპოზიციის საფუძვლები</li> </ul>	VII
28.	მდგრადი არქიტექტურის საფუძვლები	5	-	VIII
29.	შრომის უსაფრთხოება	5	-	VIII
30.	საბაკალავრო პროექტი	10	წინა სემესტრების სავალდებულო კრედიტები	VIII
31.	კულტურული მემკვიდრეობა	5	-	VII
32.	შენობა-ნაგებობები	5	-	VII
33.	უახლესი კონსტრუქციები	5	მასალები და კონსტრუქციები	VII
34.	სოციოლოგია	5	-	VIII
35.	არქიტექტურული პროექტების მენეჯმენტის საფუძვლები	5	-	VIII
36.	მომავლის ქუჩა ურბანულ კონტექსტში	5	ურბანული დაგეგმარების საფუძვლები	VIII
37.	სოციალური მდგრადობა	5	არქიტექტურული კომპოზიციის საფუძვლები 1, არქიტექტურული ხაზვა 2	IV

[\* - აღნიშნული ცხრილის ნაცვლად შესაძლოა გამოყენებულ იყოს სასწავლო გეგმის დამატებითი ცხრილი

\*\* - რეკომენდირებულია ჩამოთვალეთ ყველა ის სასწავლო კურსი, რომელიც გავლილი უნდა ჰქონდეს სტუდენტს აღნიშნული კურსის/ბლოკის/მოდულის გასავლელად ]



შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი  
International Black Sea University





**პროგრამის დამტკიცების რეკვიზიტები**

კოორდინირებულია პრორექტორთან ხარისხის განვითარების მიმართულებით

შეთანხმების №3 \_\_, „\_\_22\_\_“ „\_\_04\_\_“, 2024 წელი

პრორექტორი /\_\_\_\_\_/

განხილულია სკოლის საბჭოს სხდომაზე

ოქმი №\_9\_\_, „\_\_22\_\_“ „\_\_04\_\_“, 2024წელი

სკოლის დეკანი /\_\_\_\_\_/

დამტკიცებულია რექტორის ბრძანებით

01/01-16 01.05.24



## შემოქმედებითი ტურის შეფასების კრიტერიუმები ASSESSMENT CRITERIA of CREATIVE WORK

წინამდებარე ფორმა გამოიყენება შემოქმედებითი ტურის ფარგლებში წარდგენილი ნამუშევრების შესაფასებლად. მოცემული კრიტერიუმების მიხედვით, ფასდება სულ მცირე 6 ნამუშევარი. თითო ნამუშევრის შეფასების მაქსიმალური ქულა არის 10. კანდიდატის მიერ მიღებული ქულების მაქსიმალური ოდენობა არის 60 ქულა. კანდიდატის მიერ წარსადგენი ნამუშევრებია:

1. **სულ მცირე 2 (ორი) ნახატი** (გეომეტრიული ფიგურა (კუბი, სფერო, პირამიდა, კონუსი, პარალეპედი, ცილინდრი ან სხვა));
2. **სულ მცირე 2 (ორი) ჩანახატი** (ნებისმიერი სახის არქიტექტურული ობიექტი);
3. **სულ მცირე 2 (ორი) ჩანახატი** (გეომეტრიული ფიგურისა და ჩანახატის თითო-თითო მცირე ფრაგმენტი) შესრულებულ ხელით კომისიის თანდასწრებით.

**შენიშვნა:** კანდიდატის მიერ მე-3 პუნქტით განსაზღვრული ერთ-ერთი დავალების შეუსრულებლობის შემთხვევაში, პირველ და მე-2 პუნქტებში მიღებული ქულები ნულდება. კანდიდატს ეძლევა 60 წუთი, კომისიის წინაშე ორივე დავალების შესასრულებლად.

*The preset form is used for the assessment of the works presented within the framework of the creative work by the candidate. Each work is evaluated by 10 points. The maximal points collected by the candidate is 60.*

*The works presented by candidate are:*

1. *At least 2 (two) drawings (geometrical figure (cube, sphere, pyramid, cone, parallelepiped, cylinder and etc.))*
2. *At least 2 (two) sketches (any type of architectural object.);*
3. *At least 2 (two) free hand drawings (one fragment of the presented geometrical figure and one fragment of the sketch of the presented architectural object) performed by candidate in front of the commission*

**Remark: if the candidate can not perform one of the works given in paragraph 3, points given indicated in the paragraphs 1 and 2 are annulled.**

**Candidate is given no more than 60 minutes to perform both works in front of the commission.**

თარიღი / Date: ...../...../.....

**კანდიდატის / Candidates':**

სახელი, გვარი / Name, Surname:

კრიტერიუმი Criteria	მაქსიმალური ქულა <sup>1</sup> Maximum Points <sup>2</sup>	მინიჭებული ქულა Points Given
------------------------	--	------------------------------------

<sup>1</sup> 2 ქულა - სრულად აკმაყოფილებს კრიტერიუმებს;  
1 ქულა - ნაწილობრივ აკმაყოფილებს კრიტერიუმებს;  
0 ქულა - ვერ აკმაყოფილებს კრიტერიუმებს.

<sup>2</sup> 2 points – criteria is fulfilled;  
1 points – criteria is partially fulfilled;  
0 points – criteria is not fulfilled.

## შემოქმედებითი ტურის შეფასების კრიტერიუმები ASSESSMENT CRITERIA of CREATIVE WORK

#1	გეომეტრიული ფიგურის ნახატი #1/Drawing of geometrical figure #1		
1	სამგანზომილებიანი ობიექტის მოცულობის აღქმა / Perception of the volume of a three-dimensional object	2	
2	პერსპექტივა / Perspective	2	
3	განათების წყარო და შუქ-ჩრდილები /Light source and light-shadows	2	
4	კომპოზიციური განაწილება ფურცელზე /Compositional distribution on the sheet	2	
5	ნახატის გრაფიკულად შესრულება /Performing the drawing graphically	2	

**ჯამი /Total 10**

	კრიტერიუმი Criteria	მაქსიმალური ქულა <sup>3</sup> Maximum Points <sup>4</sup>	მინიჭებული ქულა Points Given
<b>#2</b>	<b>გეომეტრიული ფიგურის ნახატი #2/Drawing of geometrical figure #2</b>		
1	სამგანზომილებიანი ობიექტის მოცულობის აღქმა / Perception of the volume of a three-dimensional object	2	
2	პერსპექტივა / Perspective	2	
3	განათების წყარო და შუქ-ჩრდილები /Light source and light-shadows	2	
4	კომპოზიციური განაწილება ფურცელზე /Compositional distribution on the sheet	2	
5	ნახატის გრაფიკულად შესრულება /Performing the drawing graphically	2	

**ჯამი /Total 10**

	კრიტერიუმი Criteria	მაქსიმალური ქულა <sup>5</sup> Maximum Points <sup>6</sup>	მინიჭებული ქულა Points Given
--	------------------------	--	------------------------------------

<sup>3</sup> 2 ქულა - სრულად აკმაყოფილებს კრიტერიუმებს;  
1 ქულა - ნაწილობრივ აკმაყოფილებს კრიტერიუმებს;  
0 ქულა - ვერ აკმაყოფილებს კრიტერიუმებს.

<sup>4</sup> 2 points – criteria is fulfilled;  
1 points – criteria is partially fulfilled;  
0 points – criteria is not fulfilled.

<sup>5</sup> 2 ქულა - სრულად აკმაყოფილებს კრიტერიუმებს;  
1 ქულა - ნაწილობრივ აკმაყოფილებს კრიტერიუმებს;  
0 ქულა - ვერ აკმაყოფილებს კრიტერიუმებს.

<sup>6</sup> 2 points – criteria is fulfilled;  
1 points – criteria is partially fulfilled;  
0 points – criteria is not fulfilled.

## შემოქმედებითი ტურის შეფასების კრიტერიუმები

### ASSESSMENT CRITERIA of CREATIVE WORK

#3	არქიტექტურული ობიექტის ჩანახატი #1/Sketch of architectural object #1		
1	სამგანზომილებიანი ობიექტის მოცულობის აღქმა / Perception of the volume of a three-dimensional object	2	
2	პერსპექტივა / Perspective	2	
3	განათების წყარო და შუქ-ჩრდილები /Light source and light-shadows	2	
4	კომპოზიციური განაწილება ფურცელზე /Compositional distribution on the sheet	2	
5	ნახატის გრაფიკულად შესრულება /Performing the drawing graphically	2	

**ჯამი /Total 10**

**კრიტერიუმი  
Criteria**

**მაქსიმალური  
ქულა<sup>7</sup>  
Maximum  
Points<sup>8</sup>**

**მინიჭებული  
ქულა  
Points Given**

#4	არქიტექტურული ობიექტის ჩანახატი #2/Sketch of architectural object #2		
1	სამგანზომილებიანი ობიექტის მოცულობის აღქმა / Perception of the volume of a three-dimensional object	2	
2	პერსპექტივა / Perspective	2	
3	განათების წყარო და შუქ-ჩრდილები /Light source and light-shadows	2	
4	კომპოზიციური განაწილება ფურცელზე /Compositional distribution on the sheet	2	
5	ნახატის გრაფიკულად შესრულება /Performing the drawing graphically	2	

**ჯამი /Total 10**

**კრიტერიუმი  
Criteria**

**მაქსიმალური  
ქულა<sup>9</sup>  
Maximum  
Points<sup>10</sup>**

**მინიჭებული  
ქულა  
Points Given**

#5	წარდგენილი გეომეტრიული ფიგურის ჩანახატის ფრაგმენტის შესრულება / Performance of the fragment of the sketch of the presented geometrical figure		
1	სამგანზომილებიანი ობიექტის მოცულობის აღქმა / Perception of	2	

<sup>7</sup> 2 ქულა - სრულად აკმაყოფილებს კრიტერიუმებს;  
<sup>1</sup> ქულა - ნაწილობრივ აკმაყოფილებს კრიტერიუმებს;  
<sup>0</sup> ქულა - ვერ აკმაყოფილებს კრიტერიუმებს.

<sup>8</sup> 2 points – criteria is fulfilled;  
<sup>1</sup> points – criteria is partially fulfilled;  
<sup>0</sup> points – criteria is not fulfilled.

<sup>9</sup> 2 ქულა - სრულად აკმაყოფილებს კრიტერიუმებს;  
<sup>1</sup> ქულა - ნაწილობრივ აკმაყოფილებს კრიტერიუმებს;  
<sup>0</sup> ქულა - ვერ აკმაყოფილებს კრიტერიუმებს.

<sup>10</sup> 2 points – criteria is fulfilled;  
<sup>1</sup> points – criteria is partially fulfilled;  
<sup>0</sup> points – criteria is not fulfilled.

## შემოქმედებითი ტურის შეფასების კრიტერიუმები ASSESSMENT CRITERIA of CREATIVE WORK

	the volume of a three-dimensional object		
2	პერსპექტივა / Perspective	2	
3	განათების წყარო და შუქ-ჩრდილები /Light source and light-shadows	2	
4	კომპოზიციური განაწილება ფურცელზე /Compositional distribution on the sheet	2	
5	ნახატის გრაფიკულად შესრულება /Performing the drawing graphically	2	

**ჯამი /Total 10**

**კრიტერიუმი  
Criteria**

**მაქსიმალური  
ქულა<sup>11</sup>  
Maximum  
Points<sup>12</sup>**

**მინიჭებული  
ქულა  
Points Given**

<b># 6</b>	<b>წარდგენილი არქიტექტურული ობიექტის ჩანახატის ფრაგმენტის შესრულება / Performance of the fragment of the sketch of the presented architectural object</b>		
1	სამგანზომილებიანი ობიექტის მოცულობის აღქმა / Perception of the volume of a three-dimensional object	2	
2	პერსპექტივა / Perspective	2	
3	განათების წყარო და შუქ-ჩრდილები /Light source and light-shadows	2	
4	კომპოზიციური განაწილება ფურცელზე /Compositional distribution on the sheet	2	
5	ნახატის გრაფიკულად შესრულება /Performing the drawing graphically	2	

**ჯამი /Total 10**


კომისიის წევრის სახელი/გვარი / Full name of the commission member:


ხელმოწერა / Signature:

<sup>11</sup> 2 ქულა - სრულად აკმაყოფილებს კრიტერიუმებს;  
1 ქულა - ნაწილობრივ აკმაყოფილებს კრიტერიუმებს;  
0 ქულა - ვერ აკმაყოფილებს კრიტერიუმებს.


<sup>12</sup> 2 points – criteria is fulfilled;  
1 points – criteria is partially fulfilled;  
0 points – criteria is not fulfilled.

გეომეტრიული ფიგურა/Geometric figure:





არქიტექტურული ობიექტი/Architectural Object:



*a*





